როდესაც რომელიმე თქვენგანი მეჩეთში შევა, თქვას: "ალლაჰუმმა ფთაჰლიი აბვააბა რაჰმათიქ / ო ალლაჰ, გამიღე შენი წყალობის კარები, ხოლო როცა მეჩეთიდან გამოვა, თქვას: ალლაჰუმმა ინნიი ას'ალუქა მინ ფადლიქ /ო ალლაჰ, შენს სიკეთეს გთხოვ

აბუ ჰუმაიდ ან აბუ უსაიდის გადმოცემით (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი), მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «როდესაც რომელიმე თქვენგანი მეჩეთში შევა, თქვას: "ალლაჰუმმა ფთაჰლიი აბვააბა რაჰმათიქ / ო ალლაჰ, გამიღე შენი წყალობის კარები, ხოლო როცა მეჩეთიდან გამოვა, თქვას: ალლაჰუმმა ინნიი ას'ალუქა მინ ფადლიქ /ო ალლაჰ, შენს სიკეთეს გთხოვ"».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თავის ხალხს მიუთითა იმაზე, თუ რა სიტყვები უნდა თქვან მეჩეთში შესვლის დროს: (ო, ალლაჰ, გამიღე შენი წყალობის კარები). ესაა ღმერთზე მიმართვა, რომ მან გაუღოს თავისი წყალობის გზები. ხოლო მეჩეთიდან გამოსვლისას უნდა თქვას: (ო, ალლაჰ, გთხოვ შენს სიკეთეს). ამით ადამიანი ალლაჰს სთხოვს მის წყალობასა და დიდ მოწყალებას, რომ მისცეს ჰალალი საარსებო საშუალებები მისი სიკეთითა და უხვი წყალობით.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/65092